

კონსტანტინე დიდი და მუღვიოს ბრძოლა – „ამ ნიშნით გაიმარჯვებ!“

არჩილ ჩაჩხიანი

კონსტანტინე დიდი იყო ძლიერი და მაღალი, დიდი, მუქი თვალებით. მხოლოდ ფრაგმენტებიღა შემორჩა მჯდომარე მონუმენტური ქანდაკებიდან, რომელიც მის პატივსაცემად დადგეს – ორი ტერფი, მარჯვენა წვივი, მარჯვენა ხელი, ზემოთ მკაცრად აპყრობილი საჩვენებელი თითით, მარჯვენა მხარი და მკერდის პატარა ნაწილი, შთამბეჭდავი თავი, გამოკვეთილი დიდი ცხვირითა და გლუვი, ენერგიულად წინ წამოწეული ნიკაპით. ქანდაკება იპოვეს რომში 1486 წელს, მაქსენციუსის ბაზილიკის დასავლეთ აფსიდაში. ეს არის გამოსახულება კაცისა, რომელმაც ამ ეკლესიის მშენებლობა თავისივე სიცოცხლეში დაასრულებინა. ამ მონუმენტური ქანდაკების შემორჩენილ დეტალებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ რაღაც წარმოდგენა მაინც გვაქვს ადამიანზე, რომელსაც ბიზანტიელემა „დიდი“ შეარქვეს.

კეისარ კონსტანტინეს სრული სახელი იყო ფლავიუს ვალერიუს ავრელიუს კონსტანტინე – კონსტანტინე I, კონსტანტინე დიდი (ლათ. Flavius Valerius Aurelius Constantinus). მას არასოდეს ჰქონია უხეში, გაუპარსავი წვერი, პირქუში გამოხედვა, რომლის გარეშეც მანამდე არც ერთი კეისარი არ გამოუსახავთ. კლასიკური ფორმის ქარიზმატული თავი მის კეთილშობილებასა და სიმკაცრეზე მიანიშნებდა. დიდი მბრძანებლური თვალები კი შინაგან ძალას ასხივებდნენ.

კონსტანტინე დიდი უკანონო შვილი იყო, თუმცა უდიდესი, მითიური ფიგურა გახდა და მის შესახებ თაობებმა უამრავი ლეგენდაც შექმნეს. კონსტანტინეს კულტურულმა წრეებმა მეტსახელად „დიდი“ შეარქვეს. იგი დაიბადა ახ. წ. 270-288 წლებს შორის ქალაქ ნაისში, ზემო მეზიის პროვინციაში, დღევანდელ



GAIUS
AURELIUS
VALERIUS DIOCLETIANUS

გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანე (ლათ. Gaius Aurelius Valerius Diocletianus), დაბადებით დიოკლესი (ლათ. Dioclus) (245-313 წ.წ.) – რომის იმპერატორი 284-305 წლებში. მან დაასრულა რომის იმპერიაში III საუკუნის ეკონომიკური, სავაჭრო-ფინანსური და პოლიტიკური კრიზისი, დაამყარა მტკიცე მმართველობა და გააუქმა ის ფიქცია, რომლის თანახმადაც იმპერატორი მხოლოდ სენატორთა შორის პირველ სენატორად ითვლებოდა (ე.წ. პრინცეპსი). ამ რეფორმებით დიოკლეტიანემ დაიწყო ახალი ეპოქა რომის ისტორიაში.

კონსტანტინეს მამის – კონსტანციუს I ქლორუსის გამოსახულება მონეტაზე

MARCUS FLAVIUS VALERIUS CONSTANTIUS HERCULIUS AUGUSTUS

სერბეთში. დედამისი, ელენე, საჯინიბოს მოსამსახურე იყო, მამა – რომის იმპერატორი კონსტანციუს I ქლორუსი, რომლის შესახებ ბევრი ცნობაა კეისარ დიოკლეტიანეს „ტეტრარქიაში“. კონსტანტინეს მშობლები დაქორწინებული არ ყოფილან.

საქმე ისაა, რომ 285 წელს იმპერატორმა დიოკლეტიანემ იმპერიის მართვის გასაადვილებლად ახალი სისტემა, ე.წ. ტეტრარქია, დააწესა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს სათავეში იდგა არა ერთი, არამედ ერთდროულად ოთხი მმართველი. ორ მათგანს ეწოდებოდა ავგუსტუსი (უფროსი იმპერატორები), დანარჩენ ორს კი – კეისარი (უმცროსი იმპერატორები). გათვლა იყო, რომ 20 წლის შემდეგ უფროსი იმპერატორები უარს იტყოდნენ ტახტზე, უმცროსი იმპერატორების სასარგებლოდ, და ეს უკანასკნელნიც მალევე მოძებნიდნენ თავიანთ შემცვლელებს. იმავე 285 წელს დიოკლეტიანემ თანამმართველად მაქსიმიანე აირჩია, სამართავად იმპერიის დასავლეთი ნაწილი გადასცა, თავისთვის კი აღმოსავლეთი დაიტოვა. ტეტრარქიის მიხედვით, 293 წელს ავგუსტუსებმა თავიანთი მემკვიდრეები აირჩიეს. ერთ-ერთი იყო გალიის ყოფილი პრეფექტი და კონსტანტინეს მამა – კონსტანციუსი (კონსტანციუს I ქლორუსი). მეორე ადგილი გალერიუსს ერგო, რომელიც მალე იქცა ქრისტიანთა უსასტიკესი დევნის მოთავედ. 305 წელს, ტეტრარქიის დამყარებიდან 20 წლის შემდეგ, ორივე ავგუსტუსი გადადგა და კონსტანციუს I ქლორუსი და გალერიუსი იმპერიის თანამმართველები გახდნენ (პირველი – დასავლეთში, მეორე კი – აღმოსავლეთში). ამ დროისათვის კონსტანციუსს ჯანმრთელობა უკვე საგრძნობლად ჰქონდა შერყეული და მის თანამმართველს იმედი ჰქონდა, რომ კონსტანციუსი მალე მოკვდებოდა. სიკვდილის წინ კონსტანციუსმა, რომელიც ბრიტანეთში იმყოფებოდა, თავისი შვილის – კონსტანტინეს ნახვა მოინდომა, რომელიც ამ დროისათვის ფაქტობრივად მძევლად იყო აღმოსავლეთ იმპერიაში. გალერიუსი თავს იკავებდა კონსტანტინეს მამასთან გაგზავნისაგან, რადგან ეშინოდა ჯარისკაცებს იგი ავგუსტუსად არ გამოეცხადებინათ – ეს არ შედიოდა მის გეგმებში. გალერიუსს კონსტანციუსის ადგილას თავისი კაცის – ფლავიუს სევერუსის – დაყენება და ამ გზით მთელი იმპერიის დამორჩილება სურდა.

მაქსიმიანე

Marcus Aurelius Valerius Maximianus Herculius Augustus

გალერიუსი



Gaius Galerius Valerius Maximianus Augustus

სამხედრო ტრიბუნი (ლათ. Tribunus militum) – რომაულ ლეგიონში სამეთაურო შემადგენლობა. რომის სახელმწიფოს იმპერიის ეპოქაში თითოეულ ლეგიონს ჰყავდა თითო სამხედრო ტრიბუნი სენატორთა შემადგენლობიდან – ტრიბუნლაქტილავიუსი (ლეგატის შემდეგ თანამდებობრივად მეორე პირი, რომელიც ტუნიკაზე ფართო, მეწამული ფერის არშიას ატარებდა).

კონსტანტინემ მაინც მოახერხა მამასთან ჩასვლა და 306 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, იორკში არმიამ კონსტანტინე იმპერატორად გამოაცხადა. გალერიუსს ამ რეალობასთან შეგუება მოუწია და იმ საბაბით, რომ კონსტანტინე ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, მხოლოდ კეისრად აღიარა, ავგუსტუსად კი მაინც სევერუსი დანიშნა. კონსტანტინე ფორმალურად ფლავიუს სევერუსს ექვემდებარებოდა, მაგრამ რეალურად საქმე სხვაგვარად იყო. გალიაში, სადაც კონსტანტინე იმყოფებოდა, მისი ერთგული ლეგიონები იდგნენ და მმართველობის ლიბერალური ფორმის გამო მოსახლეობაც მას ემხრობოდა. ფლავიუს სევერუსს კი ასეთი მყარი მდგომარეობა არ ჰქონდა.

თავდაპირველად კონსტანტინე დასავლეთის გამგებელი იყო, შემდეგ კი, 13 წელი ერთპიროვნულად მართავდა უზარმაზარ იმპერიას. თავისი წარმატებული კარიერითა და ოცდაათწლიანი მმართველობის პერიოდით კონსტანტინემ თავისი ყველა წინამორბედი დაჩრდილა, გარდა კეისარ ოქტავიანე ავგუსტუსისა. თანამედროვეები კონსტანტინეს აღწერენ, როგორც „იღბლიანს და ყველა კეისარზე უფრო ღვთისმოშიშსა და ძლევამოსილს“. 20 წლის განმავლობაში ერთმმართველობისთვის გაჩაღებულ ომებში კონსტანტინეს იღბალი და წარმატება მართლაც მუდმივად თან სდევდა, რასაც მისი სამხედრო ნიჭი და პოლიტიკური მოქნილობაც ემატებოდა...

ქვემოთ შევეხებით და გაგაცნობთ ერთ მომენტს კაცობრიობისა და კონსტანტინე დიდის ისტორიიდან, როდესაც მავანთა შეცდომამ სრულიად მოულოდნელი შედეგები გამოიღო, შეცდომას, რომლის „დამსახურებითაც“ კონსტანტინემ დიდი სახელი, ძალაუფლება და დიდება მოიპოვა.



ექვსი წლის განმავლობაში რომში ძალაუფლება უზურპატორ, ავხორც მაქსენტიუსს ეპყრა. ხალხისა და პრეტორიანელთა გვარდიის მხარდაჭერით მან თავი კეისრად გამოაცხადა. თუ მის თანამედროვე ისტორიკოს ევსები კესარიელს დავუჯერებთ, მაქსენტიუსის საყვარელი საქმიანობა იყო პატივცემული დაქორწინებული ქალების ოჯახებისგან მოწყვეტა, მათთან გართობა და ისევ მეუღლეებისთვის დაბრუნება. რო-

ფლავიუს სევერუსი

Flavius Valerius Severus Augustus

ლეგიონი (ლათ. Legio – „შეგროვება“, „შეკრება“) – ძველი რომის გვიანდელი რესპუბლიკური პერიოდისა და იმპერიის ხანის არმიის ძირითადი საბრძოლო ორგანიზაციული ერთეული. რომის სახელმწიფოს სხვადასხვა პერიოდში იგი შედგებოდა 2-10 ათასი ქვეითისა და ცხენოსანთა რამდენიმე ასეულისაგან. ყოველ ლეგიონს თავისი სახელი, ნომერი და სამხედრო შტანდარტი ჰქონდა. ჩვენამდე შემონახული წერილობითი წყაროების მიხედვით იდენტიფიცირებულია 50-მდე სხვადასხვა ლეგიონი, თუმცა ითვლება, რომ მათი რაოდენობა თითოეულ ისტორიულ პერიოდში არ აღემატებოდა 28-ს. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ახალი ლეგიონების შექმნა. რომაული სამყაროს რესპუბლიკის პერიოდში ლეგიონის სათავეში სამხედრო ტრიბუნი იდგა, იმპერიის ხანაში კი – ლეგატი. ლეგიონი 10 კოჰორტად იყოფოდა, რომელიც რომაელთა ჯარების მთავარ ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მისი პირადი შემადგენლობა დაახლოებით 500 ლეგიონერს შეადგენდა და იგი თანამედროვე ბატალიონის ეკვივალენტად შეგვიძლია განვიხილოთ. თავის მხრივ კი, კოჰორტა სხვადასხვა პერიოდებში მანიპულებისა და ცენტურიებისგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი საშუალოდ 100 ლეგიონერს ითვლიდა და ბრძოლებში დამოუკიდებელი ტაქტიკური ერთეულის სახით არ ერთვებოდა. მას ცენტურიონი მეთაურობდა.

ცა მოსახლეობაში მღელვარებამ იფეთქა, პრეტორიანელებმა კეისრის ბრძანებით ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს და ექვსი ათასზე მეტი რომაელი მოკლეს. არც ერთ კეისარს არ სურდა მაქსენტიუსი კანონიერ მბრძანებლად ეღიარებინა, მათ შორის, არც კონსტანტინეს. იმ დროისათვის კოსტანტინეს დაქვემდებარებაში მხოლოდ დასავლეთი პროვინციები იყო ბრიტანეთის, ესპანეთისა და გალიის ჩათვლით, მისი რეზიდენცია მდებარეობდა ტრირში. კონსტანტინემ 312 წლის გაზაფხულზე თავის პატარა ლაშქართან ერთად გადალახა ალპები (როგორც 500 წლით ადრე – ჰანიბალმა). ამ ლაშქრობის მიზანი იყო არა რელიგიური ომი, არამედ მაქსენტიუსის რომიდან განდევნა.

კონსტანტინეს მცირერიცხოვანი ჯარი ერთგული, ბრძოლისუნარიანი, მომზადებული მეომრებისაგან, უმეტესად გალებისა და გერმანელებისაგან, შედგებოდა. თუმცა, კარგად გამაგრებულ რომამდე გრძელი გზა იყო და მათი მარში არც ისე უსაფრთხო აღმოჩნდა. კონსტანტინემ სასტიკი ბრძოლებით მოახერხა ჩრდილოეთ იტალიის დამორჩილება. პირველი დიდი ბრძოლა მან ტურინთან გადაიხადა, სადაც მაქსენტიუსის მძიმე კავალერია დაამარცხა. ვერონასთან გამართულ მეორე ბრძოლაშიც, სადაც მაქსენტიუსის ჯარებს უკვე პრეტორიანელთა პრეფექტი რურიციუს პომპიანუსი სარდლობდა, კონსტანტინემ დიდ წარმატებას მიაღწია. რურიციუს პომპიანუსი ბრძოლაში მოკლეს, ჩრდილოეთი იტალია კი კონსტანტინეს მიემხრო. მისი ლაშქარი რომისკენ დაიძრა და 312 წლის შემოდგომაზე მდინარე ტიბრს მიადგა. ცოტა ხნით ადრე რომში ავრელიუსის მიერ აშენებული ქალაქის გალავანი გაამაგრეს. მაქსენტიუსმა დიდძალი მარცვლეული მოიმარაგა, რათა ხანგრძლივი ალყისთვის გაეძლო. მან მოარღვია მდინარე ტიბრზე გადებული მულვიოს ხიდის შუა ნაწილი და დროებითი ხის კონსტრუქციით შეცვალა, რომლის მოშორებაც სწრაფად შეიძლებოდა. ფაქტობრივად, რომი ძლიერ, აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა.



მაქსენტიუსი

პრეტორიანული გვარდია ან, უბრალოდ, პრეტორიანელები (ლათ. Praetoriani) – რომის იმპერატორების პირადი მცველები. ეს დასახელება იხმარებოდა რომის რესპუბლიკის პერიოდიდან. რომში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ოქტავიანე ავგუსტუსმა შექმნა პრეტორიანელთა 9 კოჰორტა, თითოეული 1000 ჯარისკაცის შემადგენლობით. აქედან სამი კოჰორტა უშუალოდ რომში იყო განლაგებული, დანარჩენი კი, ქალაქთან ახლოს. და ყველაზე მთავარი – რომსა და მთლიანად იტალიაში იარაღის ტარების უფლება მხოლოდ პრეტორიანელებს ჰქონდათ და სამსახურშიც მხოლოდ იტალიელებს იღებდნენ. ისინი ჯარების პრივილეგირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ, რეგულარული ჯარისგან განსხვავებით, 25 წლის მაგივრად 16 წელიწადს მსახურობდნენ და ხელფასიც მეტი ჰქონდათ ვიდრე ჩვეულებრივ ლეგიონერებს.

MARCUS AURELIUS VALERIUS MAXENTIUS AUGUSTUS

ქალაქის დაცვის მაქსენტიუსის გეგმას წარმატების ყველა შანსი ჰქონდა, რადგან კონსტანტინეს არ გააჩნდა საკმარისი ძალა ქალაქის ხანგრძლივი ალყისათვის. მას არც კატაპულტები და არც სხვა საალყო აღჭურვილობა ჰქონდა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სქელი გალავნისა თუ ალაყაფის განგრევა. კონსტანტინეს სტრატეგიული მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, ლეგიონის მეთაურები და ოფიცრები დაჟინებით ურჩევდნენ მას უარი ეთქვა რომის დალაშქვრაზე, კონსტანტინეს წარმატების ნიშნებს ვერც წინასწარმეტყველები ხედავდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, კონსტანტინეს ხელი არ აუღია თავის გეგმაზე და თუ მანამდე ყოველთვის ცდილობდა, თანამებრძოლებთან შეეთანხმებინა მოქმედება, განსაკუთრებით კი ფრანკების მეთაურ ბონიტუსთან და ალემანების მეფე კროკუსთან, ამჯერად არავის მოსაზრება არ გაითვალისწინა.

312 წლის 28 ოქტომბრის დილას მალბორგეტოსთან დაბანაკებულ თავის ჯარისკაცებს კონსტანტინემ უბრძანა, რომ უშუალოდ ბრძოლის წინ ფარებზე ცეცხლის მაგიური ნიშანი დაეხატათ ქრისტეს სიმბოლოების ფორმით. იგულისხმება ქრისტეს მონოგრამა "XP" (ბერძნული ანბანის ასოები – X (ხი) და ρ (რო)). ძე ღვთისას სახელის – ΧΡΙΣΤΌΣ–ის პირველი ორი ასო. სწორედ ეს გადაჯვარედინებული ასოები დააწერინა კონსტანტინემ თავის ჯარისკაცებს ფარებზე „ცეცხლის ნიშნით", ანუ წითლად – ☧. მან უამბო ჯარისკაცებს, რომ ხილვა ჰქონდა – შუადღისას ცაზე საკუთარი თვალით დაინახა ცეცხლით გამოსახული ჯვარი – გამარჯვების ნიშანი, ბერძნული წარწერით, რომელიც ლათინურად ასე ითარგმნა, "In hoc signo vinces" – „ამ ნიშნით გაიმარჯვებ!"

კონსტანტინემ დაიფიცა, რომ თუკი ბრძოლაში გაიმარჯვებდა, ქრისტიანობას მიიღებდა. კონსტანტინეს რომზე გამარჯვების შანსი ძალიან მცირე იყო. იგი მზად არ იყო კარგად გამაგრებული ქალაქის ხანგრძლივი ალყისათვის და არც საკმარისი რესურსები გააჩნდა.

მაქსენტიუსი თავის ჯართან ერთად სქელი კედლის მიღმა იყო გამაგრებული. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ხანმოკლე ალყის შემდეგ კონსტანტინე იძულებული გახდებოდა ქალაქისათვის ალყა მოეხსნა და თავისი ჯარებით უკან დაეხია. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი და გასაოცარი რამ: მაქსენტიუსმა მოულოდნელად დატოვა დედაქალაქის დაცული სიმაგრე და კონსტანტინეს ღია ველზე დაუპირისპირდა. ეს იყო დიდი შეცდომა, რომელმაც კონსტანტინეს წარმატების წარმოუდგენელი შანსი მისცა.



მულვიოს ან მილვიოს ხიდი (ლათ. Pons Mulvius, ital. Ponte Milvio) – ძვ.წ. I საუკუნეში რომში, მდინარე ტიბრზე გადებული ხიდი, რომელიც რომს ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე ქალაქ არიმინუმთან (დღევანდელი რიმინი) აკავშირებდა.

MARCUS AURELIUS ANTONINUS AUGUSTUS

მარკუს ავრელიუსი (ლათ. Marcus Aurelius Antoninus) (ახ.წ. 121-180 წ.წ.) – ანტონინუსების დინასტიის რომის იმპერატორი ახ.წ. 161-180 წლებში. იმპერატორ ანტონინუს პიუსის შვილობილი. 140, 145 და 161 წლებში იმპერიის კონსული და კეისარი. 178 წელს სარდლობდა რომაელთა ჩრდილოურ ლაშქრობას გერმანიაში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია. იმპერიის „ოქროს ხანის" მმართველი. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული და განსწავლული პიროვნება, მოაზროვნე და ფილოსოფოსი, მწერალი, გვიანდელი სტოიციზმის წარმომადგენელი, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, ეპიკტეტის მოძღვრების მიმდევარი. თავის ნაშრომებს წერდა ბერძნულ ენაზე. ანტონინუსების დინასტიის რომის ხუთი კარგი იმპერატორის (მარკუს ნერვა, მარკუს ტრაიანე, პუბლიუს ადრიანე, ანტონინუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი) უკანასკნელი წარმომადგენელი. პირველ ხანებში ავრელიუსის თანამმართველი იყო ლუციუს ვერუსი. მათი მმართველობის პერიოდში, რომელიც გამოირჩეოდა იმპერიის სტაბილურობითა და რეპრესიების არარსებობით, რომის იმპერიამ აყვავების მწვერვალს მიაღწია.

საინტერესოა, რატომ არ დარჩა მაქსენტიუსი ბოლომდე თავისი გეგმის ერთგული? რამ აიძულა იგი, თითქმის აუღებელი თავშესაფარი დაეტოვებინა და საფრთხეში ჩაეგდო საკუთარი სიცოცხლე? თანამედროვე ისტორიკოსებმა ბევრი იფიქრეს და იმსჯელეს ამაზე, მაგრამ ვერც დასაბუთებული არგუმენტები და ვერც ნათელი ახსნა-განმარტებები ვერ გამოინახა. არსებობს მხოლოდ შეფასება, რომ მაქსენტიუსი უდიდესი შეცდომის მსხვერპლი გახდა.

საიდუმლო პოლიციის იმჟამინდელი სიტუაციური მოხსენებებიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქალაქის მოსახლეობაში მაქსენტიუსს მხარდაჭერა არ ჰქონდა. დიდი რაოდენობის ჯარების თავმოყრას შესაძლოა რომის სამოქალაქო მოსახლეობასთან დაპირისპირება მოჰყოლოდა, თუმცა, აჯანყება ან ღალატი რომში არ იგეგმებოდა, რადგან ქალაქის მაცხოვრებლებს ექვსი ათასი რომაელის სიკვდილით დასჯის ამბავი ჯერაც კარგად ახსოვდათ. ამ ფონზე რომის მოსახლეობის სიმპათია, სავარაუდოდ, კონსტანტინესკენ იხრებოდა. საფიქრებელია, რომ მაქსენტიუსს შეცდომისაკენ საეჭვო წარმართი მისნების წინასწარმეტყველებამ უბიძგა, რომლებმაც დაარწმუნეს იგი, რომ ქალაქისათვის თავიდან აეცილებინა უბედურება და კონსტანტინეს რომის გალავნის გარეთ, ღია ველზე შებრძოლებოდა...



ქრისტეს მონოგრამა – "XP" (ბერძნული ანბანის ასოები – X (ხი) და P (რო)). ძე ღმერთის სახელის – ΧΡΙΣΤΟΣ პირველი ორი ასო. სწორედ ეს გადაჯვარედინებული ასოები დააწერინა კონსტანტინემ თავის ჯარისკაცებს ფარებზე – ⁂.

კონსტანტინეს ლეგიონერები უტევენ პრეტორიანელთა გვარდიას – სურათზე კარგად ჩანს კონსტანტინეს ლეგიონერების ფარებზე გამოსახული ქრისტეს ნიშანი.



ბრძოლა მულვიოს ხიდთან, ჯულიო რომანოს ნახატი

კარლოს I დიდი (ლათ. Carolus Magnus ან Karolus Magnus, გერმ. Karl der Große, ფრანგ. Charlemagne) (742-814) – VIII-IX საუკუნეების ევროპის დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ფრანკთა სახელმწიფოს მეფე 768 წლიდან, ლანგობარდების მეფე 774 წლიდან, ბავარიის ჰერცოგი 788 წლიდან, დასავლეთის იმპერატორი 800 წლიდან. ფრანკთა მეფე პიპინ „მოკლეს“ უფროსი შვილი. მან შეძლო ფრანკთა სამეფოს შემდგომი გაძლიერება და მისი ტერიტორიების ექსპანსია. კარლოს I იმდენად ცნობილი მეფე და მმართველი იყო, რომ პიპინიდების დინასტიამ მის შემდგომ კაროლინგების დინასტიის სახელი მიიღო. სიცოცხლეშივე იწოდებოდა „კარლოს დიდად“. მეტად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კარლოს დიდს თავისი ეროვნული სახელმწიფოს დამაარსებლად ერთდროულად მიიჩნევენ ფრანგებიც და გერმანელებიც.

კონსტანტინემ წინ წაიწია ფლამინიის გზაზე და მულვიოს ხიდიდან 13 კილომეტრში გაჩერდა „საქსა რუბრასთან“. მალე აქ მაქსენტიუსის ჯარის მცირე ნაწილი გამოჩნდა, რომელიც კონსტანტინემ ხანმოკლე ბრძოლაში დაამარცხა. დამარცხებულები მულვიოს ხიდისკენ უკუიქცნენ. ამის შემდეგ მაქსენტიუსმა თავის რჩეულ ჯართან ერთად დატოვა ქალაქი, ალბათ, კონსტანტინეს ალყაში მოსაქცევად, ანდა, შესაძლებელია, გამოქცეული ჯარისკაცებისთვის მდინარეზე გადასასვლელის ღიად დასატოვებლად. ორი ლაშქარი ერთმანეთს რომიდან სამი კილომეტრით დაშორებულ ხიდთან შეხვდა. მაქსენტიუსს ზურგს უკან მდინარე ჰქონდა, მისი ჯარისკაცების გაქცევა შეუძლებელი იყო. ერთადერთი გზა ხიდისაკენ მიდიოდა. მაქსენტიუსი ფიქრობდა, რომ მისი ბრძანებით ხიდზე გაკეთებული და საჭიროების შემთხვევაში ადვილად დასაშლელი დროებითი ხის კონსტრუქცია გაუძლებდა უკან დაბრუნებული ჯარების მასას. იგი აქაც შეცდა – კონსტრუქცია კოლონის მსვლელობისას ჩამოიქცა.

ოტო III (გერმ. და ლათ. Otto III) (980-1002) – „მსოფლიოს სასწაულად“ წოდებული, გერმანიის მეფე და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი.



ხიდის გარშემო ბრძოლა ორივე მხრიდან უკიდურესი სისასტიკით წარიმართა. ჯარისკაცები გააფთრებული ებრძოდნენ ერთმანეთს. ფარებზე დახატული წითელი ქრიზმა (ქრისტეს ნიშანი) კონსტანტინეს ჯარს ეხმარებოდა არეულ-დარეულობაში ერთმანეთისგან გაერჩიათ მტერი და მოკეთე. მაქსენტიუსმა, როცა გააფთრებულ ბრძოლაში თითქმის ყველა ჯარისკაცი დაკარგა, თავის შველას შეეცადა, მდინარეში ცხენით შევარდა,

ჰლოდვიგ I (ლათინ. Chlodovechus, ფრანკ. Hlōdowig, ინგლ. Clovis) (466-511) – მეროვინგების დინასტიის ფრანკთა მეფე. მეფობდა 481-511 წლებში. მეფე ჰილდერიკ I-ისა და დედოფალ ბაზინა ტიურინგიელის შვილი. მასზე შემონახული ცნობები ძალიან მწირია, მაგრამ უდავოა, რომ ჰლოდვიგი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი პოლიტიკოსი, მხედართმთავარი და მმართველი იყო. პირველი მეფე, რომელმაც დიდი ბრძოლებისა და ძალისხმევის ფასად ფრანკთა ტომები გააერთიანა და ფრანკთა პირველი მეფე გახდა, რომელმაც 496 წლის 25 დეკემბერს მიიღო ქრისტიანობა. მის მიერ დაარსებული მეროვინგების დინასტია შემდგომი ორი საუკუნე მეფობდა ფრანკთა სახელმწიფოში.

მაგრამ ცხენმა ტიბრში გადააგდო და იმპერატორი დაიხრჩო. მულვიოს ხიდზე გამართული სისხლიანი ბრძოლა დასრულდა – კონსტანტინემ გაიმარჯვა.

312 წლის 28 ოქტომბერს კონსტანტინე დიდი ზეიმით შევიდა რომში. მან ბრძანა, მაქსენტიუსის გვამისთვის თავი მოეკვეთათ, სხეული კი დაემარხათ. გამარჯვებულმა ჯარისკაცებმა მაქსენტიუსის თავი შუბზე წამოაცვეს და რომის ქუჩებში დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარეს. მულვიოს ხიდთან გამარჯვების აღსანიშნავად 315 წელს დედაქალაქში, კოლიზეუმსა და პალატინის ბორცვს შორის, კონსტანტინეს გრანდიოზული ტრიუმფალური თაღი აღმართეს. ყველა დანარჩენისგან განსხვავებით, ეს არის რომში დადგმული ერთადერთი ტრიუმფალური თაღი, რომელიც არა გარეშე მტრებთან, არამედ სამოქალაქო ომში გამარჯვებას მიეძღვნა.

მაქსენტიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინეს, რომის გარდა, წილად ხვდა იტალიისა და ჩრდილოეთ აფრიკის პროვინციებიც. მან სიტყვა შეასრულა და იმპერიის ქრისტიანი მოსახლეობის მფარველობა დაიწყო. სიკვდილის წინ კი, 337 წელს, ქრისტიანობა მიიღო. მისი ნათლობა მისაბაძი გახდა ყველა მომდევნო კეისრისა თუ ევროპის დიდი მეფისთვის, რომელთა შორის იყვნენ ჰლოდვიგ I, კარლოს დიდი და ოტო III.

მთელი თავისი მოღვაწეობითა და რომის სახელმწიფოს გაქრისტიანებით კონსტანტინემ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი. ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომს რომ ალყისთვის გაეძლო და დაუცველ პოზიციაზე მყოფი კონსტანტინე იძულებული გამხდარიყო უკან გაბრუნებულიყო. უდავოა, რომ საკუთარი ძალებითა და რესურსებით ვერც ქალაქის ხანგრძლივ ალყას შეძლებდა და, მით უმეტეს, ვერც რომს აიღებდა.

ამრიგად, მულვიოს ხიდთან ბრძოლაში მაქსენტიუსის არასწორმა სტრატეგიამ და დაშვებულმა შეცდომებმა არა მხოლოდ ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა, არამედ მსოფლიო ისტორიასაც შეუცვალა მიმართულება.

კონსტანტინე დიდის ტრიუმფალური თაღი

კონსტანტინე დიდი, აია-სოფია, 1000 წელი